ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ფირცხალავა

— შენ პატრონი არა გყავს? რისთვის მიყვები ცოლად ამ მხეცს?!
— ბინის გულისთვის.

№ 2 (1372) იანვარი 1972

ნიანგი

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კაპ.

ჭიტყბი, ჭიტყბი, ჭიტყბი



ТЕЛЕГРАММА

СОХУМИ ДЗИДЗАРИАС К 3

ОТАХИ 37 СИМОНЗААР ДЗ

-ЛИШВИЛС

УМЛАКИ 15 27 ЯОЯПЖ

-10-ШИ ГАМОДЗАХИЛИ ХАРКТМИАРИАТ ШИ ШС М ТЛЕГЕЛСУТХРИГХСН ТУ АРА ШЕАТКОБИНЕТ ОМИСАРС ЦНОГЕБИИТНИ КАТО ДА-

პატივცემულ ნიანგს!

ამ ელვა (ე ლ დ ა) დეპეშის
ტექსტს თუ დამიდგენ, მიშველი,
მტლად დაგედები, ნიანგო,
შენი ფხა, ჩემი კისერი!

P. S. **როდის დაესმება ასეთ აბდაუბდას ТЧК...**

ნახ. ჯ. ლოლუასი

— 86 მანეთი და 21 კაპიკი!

— მაგდენი არც ღირს და არც გვაქვს, თორემ შენზე უკეთესს ვის მივცემდით!

ესე უსტარი მიწერილი ი. ფატარიძესთანა

(ხაშურის სალიანდაგო დისტანციის უფროსი)

ათი ათასი ბოდიში,
სიტყვას გაახლებ უფხოსა,
სალამი სალიანდაგო
დისტანციების უფროსსა!

მოკითხვით თავს არ შეგაწყენთ
(მინდა მოვიგო დროშია),
თქვენს საოსტატოს გახსენებთ,
რომელიც რომა გომშია...

მძღოლი სპეცავტომანქანის
(გვარად უხმობენ ბლუაშვილს),
ამ საოსტატოს მუშებსა
რად არ უჯდებათ ჭკუაში?

რად?.. გადახურულ მანქანას
თვალი დაადგა გლახადა,
დაშალა ნაწილ-ნაწილად,
მერე კი ჭერი ახადა.

მერე ძარაც კი შეცვალა,
როდი შეჩერდა ამაზე,
„ეზოში გდია", — ამბობდნენ
იმ საღსალამათ ძარაზე.

თქვენა გგონიათ ვერწმუნეთ?
ბინდი ჩაგვიდგა თვალშია?
საქმეს ფეხდაფეხ გავყევით,
გომიდან აგარაშია.

აქ დისტანციის მუშები
ხელით ათრევენ იარაღს,
ბლუაშვილი კი, ჰაი, და
კვლავ ეძებს თავის „იალაღს"...

დამი ლანდია

100-ში 10

დიდად დაავალა მომხმარებელი ქ. **მახარაძის სასწავლო-საწარმოო წამოწყებამ**, რომელიც ორჯონიკიძის პროსპექტის № 7-შია მოთავსებული. ამ საწარმომ, ამ რამდენიმე ხნის წინ, ისეთი საკანცელარიო ჭიკარტებით სავსე კოლოფების გამოშვება წამოიწყო, რომ მისი ქებით პირი არ დამეღლება. გახსნი ყუთს, ამოიღებ ჭიკარტს, მიაჭერ კედელს, დაფას, მუყაოს, ქაღალდს და სულ მალე თითში ისეთ სულის დამამშვიდებელ სიმსუბუქეს იგრძნობ, რომ სიამოვნებისაგან ჟრუანტელი დაგივლის. იოლი წინააღმდეგობით, მოულოდნელი შედეგით გახარებული მოაშორებ თუ არა ცერა თითს ჭიკარტს, იგი პინგ-პონგის ბურთივით მოადენს ტყაპანს ცემენტის ან ფიცრის იატაკზე. დაიხრები, აიღებ და ნახავ, რომ წვერი, რომლითაც საგანი უნდა მიგემაგრებინა, მოღუნულია. გააგრძელებ ცდას ოცამდე, სამოცამდე, ასამდე (რადგან კოლოფში მხოლოდ ასი ცალია) და შემდეგ უცნაური შედეგით გაკვირვებული დალოცავ საწარმოს იმ მუშაკებს, ვინც ასეთი დიდებული პროდუქცია დაამზადა.

ძვირფასო ნიანგო! როგორც ჩანს, უკეთესი ჭიკარტების გამომშვებნი აქ არ არიან, ამიტომ ჩვენც გვაქვს ერთი რაციონალიზატორული წინადადება: რადგან პროდუქციით სავსე ყუთს აწერია 100 ცალი, ხოლო 100-დან იღბლიან კაცს 10 თუ გაუმართლებს, მთლად ნოლამდე რომ არ დავიყვანოთ ეს საქმე, ერთი ნოლი წავშალოთ, რის შედეგადაც მივიღებთ ნიშანს, რომელიც გამოხატავს ვარგისი ჭიკარტების რეალურ ციფრს.

ვ. კახელიშვილი

ჩვენს ეზოში წვიმა მოდის...

ჟუჟუნა წვიმა ყველას სიამოვნებს, მაგრამ სულ სხვაა კოკისპირული წვიმა. მისი მოსვლის დროს ყველა სულდგმული ეძებს თავშესაფარს: ზოგი მაღაზიაში შერბის, ზოგი — თეატრში და ზოგიც — სახლში. ჩვენ კი რა ვქნათ **წულუკიძის ქუჩის IV შესახვევის V კორპუსის** მცხოვრებლებმა? წვიმისაგან გარეთ რომ წვეთ-წვეთობით ვსველდებით, შინ ჭერიდან და კედლებიდან ჩამოსული წყლისაგან ერთიანად ვილუმპებით...

მოკლედ რომ ვთქვათ, წვიმის მოსვლა და ჩვენი გულის წასვლა ერთია.

სად არ იგზავნება წერილები ,მაგრამ სახურავებისა და გვერდითი კედლის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. შემდეგშიც თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით, ქოლგების დამამზადებელ ფაბრიკას შევუკვეთოთ მართკუთხედის ფორმის ქოლგა... ჩვენთვის კი არა, ჩვენი სახლისთვის.

ვფიქრობთ, ასეთ ქოლგას დიდი სიამოვნებით „დაიხურავს" არა მარტო ჩვენი, არამედ წულუკიძის ქუჩაზე მდებარე თითქმის ყველა სახლი.

ზ. პოლოლიკაშვილი

ჯანრის იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალო!..

— მიშიკო, მიშველე! მიშველე, მიშიკო!..

— რა მოხდა, ქალო? ხანძარია?!

— არა, გაგვძარცვეს!..

— კოსტუმები წაიღეს?

— ჩვრები აღარ გვინდაო.

— აპა, როიალს და პიანინოს ვერ წაიღებდნენ!

— როიალს რას კითხულობ! „კასა“ წაიღეს, რკინის „კასა“. კედლიდან გამოიღეს!

— გახსნეს უკვე, თუ იცი?

— ვერ მოასწრეს.

— მილიციაში ხომ არ დაგირეკავს?

— რას ამბობ, შე კაცო, შენ ქურდებზე უფრო მილიციისა გეშინია!

— მეზობლები ხომ არ შეგიყრია?

— ხმა არ დამიძრავს, კრინტი...

— თუ იცანი, ვინ იყვნენ?

— ისევ ისინი, შარშან რომ გაგვძარცვეს.

— კრინტი არ დაძრა, ფულისთვის იკლავ თავს? ფული გვიშოვნია და ვიშოვნით!..

მიშიკომ ყურმილი მშვიდად დადო და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა...

— ესეც ასე! ხომ გავაცურე ის ვაგბატონები: სამპროცენტიანი ობლიგაციები კოსტუმში მაქვს დამალული, ფულის ნაწილი როიალში, ნაწილი მაცივარში... არ დაიხოცებიან იმ რკინის ყუთის თრევით? პატარა მაინც იყოს! — სიცილით გადაფიჩინდა ქურდის ქურდზე გამარჯვებული ქურდი.

გიჭიკო პატარიძე

— *ჩამომითვალეთ ფულის ფუნქციები!*

— *ფული, როგორც ღირებულების საზომი, ფული, როგორც დაგროვების, გადახდის, მიმოქცევისა და სისხლის ჩაქცევის საშუალება!*

სიცილით კვდებიან წიწილები

— ეს ამბავი ქათამსაც გააცინებსო, — იტყვიან, როცა ვინმე მეტისმეტად უცნაურ, უსწორო ნაბიჯს გადადგამს.

მაგრამ მთიდანას რაიონში ისეთი, ძნელად დასაჯერებელი ამბები ხდებოდა, რომ ქათმები კი არ იცინოდნენ, ხარხარებდნენ.

* * *

ინჟინერი დასვეს უნივერმაღის გამგედ. აქაოდა, რაკი მან ააშენა, ბარემ გახსნის შემდეგაც თვითონვე იყოსო უფროსი.

კადრების არასპეციალობის მიხედვით განაწილების ეს აქამდის გაუგონარი ამბავი როგორღაც მივიდა მეფრინველეობის ფერმაში... ხარხარებდნენ ქათმები, კისკისებდნენ წიწილები.

და როცა ხარხარით გული იჯერეს, თქვეს: ამ გზას რომ გაუყვეთ, ახალაშენებული საავადმყოფოების მთავარ ექიმებადაც ყველგან ინჟინრები უნდა დაინიშნონო.

* * *

კოლმეურნეობა „განთიადის“ მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად ფარმაცევტი დანიშნეს, სოფელში მცხოვრები ჟურნალისტი კი არავის მოჰგონებია.

ფერმაში მივიდა ამბავი: ის მეაფთიაქე სამმართველოს უფროსის ძმა ყოფილაო.

და ისევ ხმამაღლა და დაუსრულებლად ხარხარებდნენ ქათმები, კისკისებდნენ წიწილები.

მერე, როცა ხარხარით გული იჯერეს, თქვეს: იმ პროვიზორმა თუ ლათინურის გარდა, წერა-კითხვა იცის, შეიძლება, ასე თუ ისე, უხელმძღვანელოს მრავალტირაჟიან გაზეთს, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ის იქნება, ჟურნალისტი აფთიაქის გამგედ რომ წამოასკუპონო.

* * *

რა არ ხდება ქვეყნად! იყო ერთი დიპლომიანი უცოდინარი. იქვე ცხოვრობდა უდიპლომო მცოდნე. ორივე ეძებდა სამსახურს.

ჭკვიანმა დირექტორმა უდიპლომო მცოდნე მიიღო თანამშრომლად. ეს იყო საკითხის სწორი გადაწყვეტა.

მაგრამ ცენზიანმა უცენზურო სიტყვები გადმოაფრქვია და ერთხელ კიდევ დაამოწმა, რომ უმაღლესის მოწმობა შემთხვევით ჩავარდნოდა ხელში.

სწორედ ეს გახდა ფერმის მდგმურთა მხიარულების საბაბი: ხარხარებდნენ, ხარხარებდნენ ქათმები, სიცილით კვდებოდნენ წიწილები...

ზალვა ზენგელი

ნახ. მ. აბაშიძისა



— მართალი-უთქვამთ შენზე, ტყავს აძროს თანამშრომლებსო, ვინაა ეს კაცი!
— ჩემი მოადგილეა.



— ამხანაგო, ნიკიფოროვიჩმა ჩასთვლიმა და ცოტა ხმას დაუწიე!

— ამის შემკერავი ბრძაა?
— არა, ბატონო, ამას ქრუშეჩი კერავენ მუნჯებისთვის!

— უფალო, მეძრთამეოგისათვის მომხსნეს და ასე ჯაერში ვარ გამოკიდებული!
— ჩემ სიცოცხლეში ქრთამი არ ამიღია, მაგრამ მეც მაგ დღეში ვარ!

ნოდარ შამანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმით ნატირლები

ცრუპატრიოტზე

ვაჰმე ,როგორ გვიან გაგიცანი,
სუფრაზე გიხილე ამას წინათ...
ყანწი მოითხოვე ლიტრიანი,
ჭიქა დაითხოვე პაწაწინა.
ერთხელვე რომ გახსენ ენის კლიტე,
შუბლი დაგეცვარა ლაპარაკით.
ცალკე ადღეგრძელე ქართული ცა,
მთები, ვენახები, აგარაკი...
მერე ქართველობას მიადექი,
გადაწვდი წინაპრებს, იქით, აქეთ...
ზოგი უმოწყალოდ აქე, აქე,
ზოგი საწყალობლად აქიაქე.
ქალაქს სახლდებიან სოფლელები,
ამას ვაცხადებო მტკივან გულით.
ნელა ვმრავლდებითო ქართველები,
ხელი ჩაიქნიე სინანულით.
უი, რა გავიგე, ეს რა მითხრეს,
სოფლად მოგიშლია მამის კერა!
ასე უცოლშვილოდ გადაკრუხდი,
ვაი, არც აპირებ ქორწილს ჯერა...
ხშირად საქართველოს გარეთ დახვალ,
ერისთვის სახელი მოგაქვს დიდი! —
მოსკოვის ბაზარზე დაგიჭირეს,
ქართულ ვარდ-ყვავილებს თურმე
ყიდდი.
ვაიმე, კვლავ უნდა გაგვიგრძელო,
ტურფა საქართველოს სადღეგრძელო?!,.

მამის ნატირალი პატიმარ შვილზე

ჰაუ, რა მიქენი, როგორ მომსპე,
გული დამისეტყვე,ძლივსღა ფეთქავს...
ციხის საკანში რამ მოგამწყვდია,
უი, ჩემს ჭაღარას! ვაი, ჩემს თავს!
შენთან არ ვუშვებდით ცივ ნიავსაც,
გზრდიდით მოფერებით, გალალებით.
ოღონდაც კი გეთქვა, მოგესურვა,
შენთვის სამოთხის კარს გავაღებდით.
სუფრასთან დაგსვამდი ცეროდენას,
ჭიქას შიურტყამდი ბალღი სტუმრებს.
გულში ჩაგიკრავდი, შეგაქებდი...
ვაი, ყელს ვიჭრიდი მაშინ თურმე.
ჩხუბში რომ სჯობნიდი თანატოლებს,
მუშტის მოქნევით და ჩაფარებით,
როგორ მიხაროდა მამას, მუტრუკს,
კალთას გაფარებდი, გაფარგბდი!..
ასე იზრდებოდი შენს ნებაზე,
ქეიფით, ლხინით, მკლავის გაშლით,
ტანიც გეზრდებოდა, თავიც, ღონეც,
ჭკუა არ გრჩებოდა თურმე თავში.
რამდენი ხანია დაყიალობ,
რამდენი ხანია დარაინდობ!
მამისტოლ კაცისთვის გიცემია,
შენ მშობელ მამასაც არ დაინდობ...
გული დამისეტყვე, ძლივსღა ფეთქავს,
უი, ჩემს ჭაღარას! ვაი, ჩემს თავს!

შვილის ნატირალი ალიმენტისაგან გამქცევ მამაზე

მამა, რად გამწირე, რად დამტოვე?
თუმცა, როგორ წამცდა... რის მამა ხარ!
ამ წუთში რომ მოვკვდე, არ დავეძებ,
ოღონდ შენი სახე დამანახვა!
ოღონდ ერთხელ შენთან მასეირნა,
შენთან მომატარა მთა და გორა,
შენი ხელის სითბო მაგრძნობინა,
„შვილო, როგორ ხარო“, გამაგონა.
მამის ასლიაო, დედა ამბობს
და ზოგჯერ ამრეზით შემომხედავს.
უხსენებელს ჰგავსო, უხსენებელს...
ბუტბუტებს ბებია — დედის დედა.
და მე კი არ ვიცი, როგორი ხარ,
მე რა დაგიშავე, მამაჩემო?
მუდამ მემალები, გან-გან დახვალ.
ხედავ, კიდევ წამცდა... რა მამა ხარ!
პაპა ხურდას მაძლევს — დედის მამა,
ჯიხვის ყულაბა მაქვს, დიდრქიანა.
ოღონდ გამოჩნდი და დამენახვე,
იმ ფულს სულ შენ მოგცემ ჯიხვიანა!
პაპა ნატვრის სარკეს შემომპირდა,
მომიტანს, ჩავხედავ, სადღაც გნახავ.
გნახავ და ხელს გტაცებ, მამაჩემო,
ხედავ კვლავაც წამცდა... რა მამა ხარ!

მომხვეჭელსა და მიმტაცებელზე

ვაი, მწვანე კიტრად მოგაქვს თავი,
ვითომ კაცი ხარ და ქუდი გშვენის!
ვერა, ვერ იქნა და ვერ გაძეხი,
ველარ მოიპირა გული შენი!
სვავი ხომ სვავია, სვავურ მადით
კიდეც რომ ამართლებს სვავურ სახელს,
ლუკმას ჯერ გაზომავს, შეამოწმებს
და მერე ხახაში გადუძახებს.
შენ არც ზომა იცი, არცა წონა,
მახსოვს: რა იყავი, რა გებადა?
ნეტავ დაიბადე სვავი კაცად,
თუ კაცს სვავის მადა დაგებადა?!
რასაც ხელს მოკიდებ, რასაც ნახავ,
მაქინაციებით მიგაქვს შინა,
სინდისი ხომ შენთან მწყარალად არის,
სხვამ კი ვერაფერმა შეგაშინა.
ჰოი, ააშენე რა სასახლე,
ეზო ზღაპარივით დაამშვენე,
სასახლეს სასახლე მიაშენე,
სასახლეს სასახლე დააშენე.
სახლი ვოლგისთვისაც ააშენე,
სხვისი, ნასხვისარი გ ა ა შ ე ნ ე.
მერე უკვდავებაც მოისურვე, —
თუ?რმე რა გდომია აი, კიდევ! —
შენი სურათები გაიდიდე,
ერის დიდ კაცებთან ჩამოკიდე...
ვაი, მაგ შენს პატრონს, ვაი, ვაი!

ნატირალი ხმით ნატირლების გამო

ჰოიმე, რამდენი ცრემლი ვღვარე,
სიმწარეს ბევრი რამ შესძლებია.
ნიანგის ცრემლები არ გეგონოთ,
ეს გულის ალალი ცრემლებია.
მკვდარი მკვდარია და რას უშველი
ატირებული და ცრემლიანი,
მწარე ის ყოფილა, ახჯერ მწარე,
ცოცხლად რომ გიკვდება შენიანი.
ცოცხლად რომ ვარდება სამარეში,
ცოცხლად რომ ეყრება მიწა შავი,
ვაი, რა ცუდია, რა დამწველი,
ვაი, რა მწარეა, ვაი, ვაი!
მართლაც და სიკვდილი ამას ჰქვია,
უფრო დიდი ჭირი არ ვიცი მე.
ეჰეი, სიცოცხლით ნუ გვატირებთ,
თორემ მოკვდებით და... გავიცინებთ!

არ ღაფიქარგეები

საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომ გამოვიძიოთ, მისი მკვიდრნი ყველა ერთმანეთის ნათესავ-ნაცნობები აღმოვჩნდებით.

ერთ მოყუჩებულ ადგილს დავადგი თვალი. დავადგინე, რომ ის, ვისაც იმ მოყუჩებულ ადგილზე ჩემი მოყუჩება შეეძლო, დეიდაშვილის ქმრად მოხვდებოდა ჩემი სიძის დის მაზლის ბიძაშვილის ბავშვობის მეგობრის ძმისწულს.

მოვყუჩდი კიდეც!

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა.

ახლა ვზივარ, ვფიქრობ და ვანგარიშობ: ჩემი ბიძაშვილის მეზობლის ღვიძლი დის ქმარია იმ კოლონიის უფროსი, სადაც ამჟამად ვარ მოყუჩებული...

რაფიელ მამულაშვილი.

რეჟისორი — „ინკვიზიტორი"

— ამ პიესის რამდენი ეგზემპლარი გაქვთ? — ჰკითხა მოხუცმა რეჟისორმა ყმაწვილს, რომელიც ზუსტად დანიშნულ დროს მასთან გამოცხადდა.

— სამი, ბატონო!

— დღესვე მომიტანეთ სამივე! — კატეგორიულად მოჭრა მოხუცმა.

— სამივე?! — წამოიყვირა ყმაწვილმა და უმალ ენაზე იკბინა.

— დიახ, სამივე! ნასახიც არ დატოვოთ შინ!.. ალბათ, ასეა საჭირო!.. ვარიანტებიც არ დაგავიწყდეთ! — დაადევნა სიტყვა მოხუცმა მიმავალ ყმაწვილს.

— ვარიანტები რომ არა მაქვს, ბატონო!

— მით უკეთესი! — კმაყოფილებით ჩაიდუდუნა მოხუცმა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. — ჰო, წადით, წადით და ისე მოიქეცით, როგორც გითხარით!

რეტდასხმული ყმაწვილი თავის თავს მეათედ ეკითხებოდა:

— კი მაგრამ, რატომ სამივე?!..

ავტორი ერთი საათის შემდეგ ისევ რეჟისორის წინაშე იდგა.

— აი, მოვიტანე, ბატონო, სამივე აქაა! — ყრუდ წარმოთქვა მან და დაცვარული სახე ცხვირსახოცით მოიწმინდა.

— ძალიან კარგი, — კმაყოფილებით წარმოთქვა მოხუცმა, — გამოიარეთ ხვალ!

ის ღამე ყმაწვილმა თეთრად გაათენა. მეორე დღეს კი, ჩვეულებრივზე ადრე, რეჟისორს ეახლა.

— როგორაა საქმე? — დაარღვია ყმაწვილმა მდუმარების ყინული.

— კარგად, ძალიან კარგად! — აუჩქარებლად თქვა მოხუცმა.

— მაინც? — ვეღარ მოითმინა ყმაწვილმა.

— დავწვი! — მოკლედ მიუგო რეჟისორმა.

ლევან მილორავა

ბედი უნდა ყველ აყვერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოლი თუ გყავს?

— მყავს.

— მანქანა?

— „ვოლგა".

— ბინა?

— ხუთოთახიანი.

— აგარაკი?

— წყნეთში.

— ფული?

— ფულიც.

— ძმა-ბიჭები?

— ოხრად.

— ის?

— ისიც.

— ეს?

— ესეც.

— შვილები?

— ერთი.

— კმაყოფილი ხარ ცხოვრებით?

— არა.

— რატომ?

— შავი „ვ ო ლ გ ა" მინდოდა და „ბ ე ლ.ი ე ნ ო ჩ ი" შემხვდა.

მირიან ლეჟავა

ეფექტი

მ. კრიშანი

მე შეშლილი ვარ! ფრიად საინტერესო შემთხვევაა. მახურავს სამკუთხა ქუდი და თავი ნაპოლეონი მგონია. ეს სამკუთხა ქუდი თეატრის ერთი გარდერობიდან ავწაპნე, მაგრამ ჩემი ბრალია, თუ თავში ჩამიჯდა, რომ ნაპოლეონი ვარ?

საავადმყოფოში მოვხვდი. აქ ყოფნა ძალზე კარგია — სრული კომფორტია, რაც კი სულია და გულს ეამება, თანაც თავაზიანი მოპყრობაა... ერთადერთი პრობლემა ცხელი წყალია. ჩემი აზრით, ქვაბი არ უნდა იყოს წესრიგში— ყველა შხაპი ცივია.

სიმპათიური კოლეგები მყავს, ცნობილი ხალხი: დონ კიხოტი, ორი ალექსანდრე მაკედონელი... ხოლო ნაპოლეონი, — რამდენიც გინდათ! ჩვენთან ფრიად საინტერესო ხალხია! მაგალითად, აქ ერთი კაცია, რომელიც, თურმე, ყოველ დილას ფანჯარაძს აღებდა და ქუჩაში მონეტას ისროდა. ამიტომაც მოხვდა აქ.

იგი გიჟია.. მაგრამ ვიცი ერთი პიროვნება, რომელიც ყოველთვის ყრის ასი ათასობით საჯელმწიფო მანეთს: გადახარჯავო, წუნია, და გიჟი მაინც არ არის, თან პრემიებსაც იღებს.

აქ ძალზე საინტერესო შემთხვევებია.

ერთმა, როგორც კი მიიღო ორი კვირის ხელფასი, სულ კორპსაძრობები შეიძინა. მისმა მეუღლემ ბალიშის ქვეშ 263 სხვადასხვა ფერისა და ფორმის კორპსაძრობი უპოვნა... ჰოდა, ულაპარაკოდ ჩვენთან მოიყვანეს...

ზონარის ფაბრიკაში კი, უკანასკნელი ინვენტარიზაციის დროს, საწყობში აღმოაჩინეს თოვლის პაპის ათასი ცალი წვერი, 360 ცალი მყვინთავის სკაფანდრი და მრავალი სხვა. გგონიათ მომარაგების განყოფილების უფროსი ჩვენთან მკურნალობს? როგორ გეკადრებათ! ის თავისთვის კურორტზე მკურნალობს... გასტრიტს. აი, ხომ ხედავთ, მე სულით ავადმყოფი ვარ, ის კი ჯანმრთელია.

რა არ ხდება!

არის კიდევ ჩვენთან ერთი, რომ შეხედავ. იტყვი, ნორმალურიაო, მაგრამ გიჟია. თავის ბიძაშვილს, რომელთანაც ერთად იზრდებოდა, ვერ ცნობს...

მე კი ვიცი კაცი, სარფიანი შემოსავალი რომ გაუჩნდა, დედასა და მამას ვეღარ ცნობს, სრულ ჭკუაზე კია.

ყველაზე საინტერესო შემთხვევა მაინც ჩემია: გგონიათ მართლა ნაპოლეონი ვარ? არავითარ შემთხვევაში. ეს ისე, განგებ მოვიგონე. სინამდვილეში სტაფილო ვარ... ასე რომ არ იყოს, მაშ რატომ მჭამდნენ სამსახურში ეგრე მადლიანად? დიახ, კოლეგებმა შემჭამეს...

თუ ვინიცობაა, შეფ-მზარეული მოვიდეს და ამხანაგი ნაპოლეონი იკითხოს, არ უთხრათ, რომ მნახეთ... დღეს სადილად ბოსტნეულის სუპი გვაქვს.

თარგმნა ზოთა ამირანაშვილმა

— შენ, მგონი, ამ გოლო დროს, ურევ: ზარმაცობ, სვამ, სამსახურში არ დადიხარ!..

— ვიღაცაში გეშლებით, ბატონო!

— ჯანდაბას, ის ვიღაცა სადღაა, ვისშიაც მეშლები?!



— აქ „გადასასვლელი" კი არა, „გადასასწრები" უნდა ეწეროს!

ნახ. ჯ. ლოლუასი



დისერტაცია თემაზე: „სხვაგან ჰქრის მისი გონება“.

ნახ. ლ. მართაბვილისა

სევილიელი დაღაქი



— შენ აქ დამიცადე, დედაკაცო! მე შევალ, წვერს გავიპარსავ.

ზაქარია შერაზადიშვილი

მეგობრული შარჟი გ. ფიცრცხალაკვასი

ცნობილ ქართველ პოეტს ზაქარია შერაზადიშვილს დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა. იგი ლექსთა ბევრი საინტერესო კრებულის ავტორია. ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობას, არის პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ზაქარია შერაზადიშვილი, წლების მანძილზე, აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ „ნიანგში“, აქვეყნებს მაღალმხატვრულ სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებს. 1970 წელს, „ნიანგის ბიბლიოთეკის“ სერიით, გამოვიდა მისი წიგნი — „კაფიები“.

მკითხველს ვთავაზობთ პოეტის რამდენიმე ახალ სატირულ ლექსს.

მისთვის გაჩუქა

ზენამ
სიცოცხლე
მისთვის
გაჩუქა,
რომ არ გადიქცე კაცი ნაქუჩად!...

ქამელეონი

უფროსებთან გთათხავს,
ბოდიშს
გიხდის
მარტოს,
ძალუძს ფეხქვეშ გართხმა
ძაღლის
იღბლის
პატრონს.

ნახევარიც ვერ გითხარით

იუმორს ხო ვიმეორებ,
ცამდე ამყავს სატირა,
ყველგან ვხედავ გასახარელს,
შიგადაშიგ — სატირალს.

რა თქმა უნდა, ძნელად ვწვდები
იქაცა და აქაც,
მაგრამ ნაკლი ვინც მიჩქმალა,
კითხვით მაინც დავქანცავ,

განუწყვეტლივ ვაწერინებ
განმარტებებს, პასუხებს,
გაირკვევა, გამქღავნდება,
ვინც ქვეყანას თვალს უხვევს.

მრუდე გზას და მრუდე ბილიკს
სად ედება სათავე,
„წყალი რომ არ გაუვიდეს“ —
საბუთს როგორ „სანთლავენ“

ნახევარიც ვერ გითხარით,
არამცთუ მოვათავე.

მედა არქიტექტორი

მთლიანი სამხეცეთის გაერთიანებულ სალაყბოზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად ნადირთა სამეფოში კოჭის ძაფის ქარხნის მშენებლობის საკითხი იდგა. მელას, პროექტის ავტორს, ფაფუკი კუდი ჯორკოზე ვითომ უურწყვდებულად, მაგრამ მაინც აზიზად და არისტოკრატულად გადაედო, მრავალმნიშვნელოვნად გაეურსული წამწამების ჩრდილში ქერა ულვაშებს ეფერებოდა.

კოჭის ძაფის ქარხნის მშენებლობის უეკველობასა და პროექტის საინტერესოდ გადაწყვეტაზე ბრწყინვალედ იყბედა მიმდები კომისიის წევრმა — ენაჭარტალა კაჭკაჭმა, რითაც, ამავე დროს, გეზი მისცა ყბადაღებულ ლაყაფს. კაჭკაჭს მხარი აუბეს ციყვმა და თრითინამ, როგორც ერთი ოჯახის წარმომადგენლებმა. კომისიის მეორე წევრის, ყოველთვის გარიყული და კარჩაკეტილი თრითინას ორატორულმა გამოსვლამ ყველა გ ნაცვიფრა და დასმული საკითხის უდიდეს მნიშვნელობას დამაჯერებლობა შემატა. ციყვსა და თრითინას უმალ ყვავი და ტურა მიემხრნენ, რომლებმაც იყნოსეს, რომ მელა თავის პროექტს უსიკვდილოდ გიტანდა, რადგან მგელთან, კომისიას რომ თავმჯდომარეობდა, შეკრული იყო და გარკვეულ თანხას მას უწილადებდა.

მრავალსაათიანი გულდაჯერებული ტვინის ჭყლეტის შემდეგ კოჭის ძაფის ქარხნის აშენებაც გადაწყდა და მელას პროექტიც მოწონებულ-დამტკიცებულ იქნა.

როცა ქარხანა აშენდა და გამოშვებული პროდუქცია ისე დახვავდა, რომ საწყობებში ტევა აღარ იყო, გულუბრყვილო ნადირები მხოლოდ მაშინ მო გენ ეონს. კოჭის ძაფს რა თავში იხლიდნენ, როცა არავინ არაფერს იკერავდა და ყველა დედიშობილა დადიოდა...

მგელმა, ბუს თვალის ასახვევად, მელას საყვედური აკიდა, ეს რომ მელამ გაიგო, სასაცილოდ არ ეყო და თქვა: „ნა ინტერეს“ მგელთან კარგი პური უნდა ვჭამოო. თქმა და შესრულება ერთი იყო.

ამის შემდეგ კოჭის ძაფის ქარხანა საცურაო აუზად გადააკეთეს.* (მგელმა აქაც თავისი წილი აიღო ახალი დამპროექტებლისაგან) და შიგ მგლისა და მელას ლეკვები ბანაობდნენ.

მორალი: კოჭის ძაფის ქარხნის აშენება სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ზემოხსენებულ საპროექტოში ყველა მაგრად არის გასაკოჭი.

ნ. ლეჟავა

ორი თარიღი

ბაჭუა ქარცივაძეს ბიჭია ქურციკიძე შეხვდა. სკოლის დამთავრების 25 წლისთავი გვინდა აღვნიშნოთო, შეატყობინა. ბაჭუას თავიდან გაუხარდა... ამხანაგები მიიკითხ-მოიკითხა, თანამდებობა და ტიტული მოიძია, მაგრამ მნიშვნელოვანი ვერაფერი გაიგო და მწარედ ჩაფიქრდა... გონებაში აწონ-დაწონა ყველაფერი, მერე გამოიტანა გადაწყვეტილება: ბავშვობის მოგონება არაფერ კარგს ჰპირდებოდა. რა ჰქნას, აქსენტი მასწავლებლის სიტყვები რომ გაახსენონ — „შენისთანა ლენჩი მოსწავლე ჯერ არ მყოლიაო“. „არა, უხერხულია!“ — გაიფიქრა... გული დაწყდა სკოლის მოგონებით.

აი, ინსტიტუტის დამთავრების 15 წლისთავი რომ გადაიხადონ, არ იქნება ურიგო, — გახალისდა ბაჭუა, — იქ თვალდახუჭული მივა. ვანო ტრესტშია, პეტრე — სამინისტროში, კაკო ახმახი დირექტორად დაუნიშნავთ, მართალია, თითო კურსზე ორ-ორი წელიწადი იყო, მაგრამ ახლა ამას ვინ კითხულობს. ბოლოს ხომ გამომაჟღავნა მარიფათი. თანამდებობაც აქვს და ცხოვრებაც...

თანამდებობის ხალხი არ იხსენებს იმას, რა იყავი წინათ. მისთვის მთავარია, რა ხარ დღეს!..

ბ. პ.

№ 76 1978 წ. 4. 11

ნახ. ვ. კუციანი

— საზამთროდ ფეხზე ვერაფერი ვიყიდე!
— ვერც ხელზე?!

ნახ. ბ. ლოგვინისა

— პატივცემულო, თუ შეიძლება, ჩაგვიწერეთ, რომ ხურდა წესიერად დაგიბრუნეთ, ახალი პროდუქტები მოგყიდეთ, ქაღალდში გაგიხვიეთ, არ გაგვილანძღიხართ და არ შეგვიგინებია!..

სიცილის ვირუსი

მოგზაურის შთაბეჭდილება

ჰანსი, აფრიკაში მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, მეგობრებს შთაბეჭდილებას უზიარებდა:
— საჰარაში ლომი დამედევნა და უკანასკნელ წუთს ხეზე ავასწარი...
— კი მაგრამ, საჰარაში ხე რომ არ არის?! — დაეჭვდა ვიღაც.
— ბიჭო, იმ მომენტში ჩემთვის სულ ერთი არ იყო?!

დაეჭვება

— ფრიცმა, საუზმის დროს, გაზეთში ცნობა წაიკითხა თავისი სიკვდილის შესახებ და შეძრწუნებულმა ტელეფონით მეგობარს დაურეკა:
— ალო, ფრანც! წაიკითხე გაზეთში ცნობა ჩემი სიკვდილის შესახებ?!
— დიახ, წავიკითხე! კაცმა რომ თქვას, საიდან მელაპარაკები?

ოჯახში

— აი, გაზეთში წერია, რომ თურმე კანადაში ერთი კაცი ცხოვრობს, რომელსაც ოცი წლის მანძილზე თავისი ცოლისათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. — უთხრა ცოლმა ქმარს.
—ალბათ, არ უნდოდა სიტყვა შეეწყვეტინებინა, — მიუგო ქმარმა.

აუქციონი

აუქციონზე დარბაზში უცებ ჩოჩქოლი შეიქნა. წამყვანმა ჩაქუჩის ცემით გამოაცხადა:
— ერთმა დამსწრეთაგანმა ეს_ეს არის საფულე დაკარგა, რომელშიც ორასი მარკა იდო. იგი მპოვნელს ოც მარკას სთავაზობს.
—მე მაგ საფულეში ოცდაათს მივცემდი, — დაიძახა ვიღაცამ დარბაზიდან.

საუბარი მწერალთან

— საინტერესოა, სიყვარულში ბედმა გაგიღიმათ თუ არა? — ჰკითხა ნაცნობმა ქალმა ძარკ ტვენს.
— არა, ჩემო კარგო, — მიუგო მან, — წარმოიდგინეთ, ერთადერთი ქალი, რომელიც მიყვარდა, გათხოვდა.
— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ქალმა. — ვის გაჰყვა?
— მე, — თქვა მწერალმა.

ხერხი სჯობია...

— ბატონო ექიმო, რეცეპტის წერის დროს ენა გამომაყოფინეთ და ზედ არც კი შეგიხედავთ!
— მაშ, რა მეღონა, თუ სხვანაირად ვერ გაგაჩუმეთ?!

მოგოდიშება

— ბატონო ჩემო, თქვენ მეზობლისათვის გითქვამთ, სახე აქლემს მიგიგავთო. იცით, რა დიდი შეურაცხყოფაა ეს?
— რა თქმა უნდა, როგორც კი აქლემს შევხვდები მაშინვე ბოდიშს მოვუხდი!

ქვები და ოქრო

„აგურები! აგურები!
ოქროსფერი აგურები!
თვით სამეფო სასახლეთა
შესამკობლად ნაგულები!“

„კვერცხი! კვერცხი! ბატის
კვერცხი!
ოქროსფერი დიდი ბატის!
ფასკუნჯისა გეგონებათ,
ყველგან ოქროს ფასად გადის!“

„კვახი! კვახი! რომელს უნდა
შაქარივით ტკბილი კვახი?
ოქროსავით კვახს იძლევა
დალოცვილი ჩემი ბაღი!“

ამ ქებაში გაიყიდა
აგურები, კვერცხი, კვახი...
უენოს კი, ოქროს პატრონს,
ვერ ამჩნევდა იქვე ხალხი!

აკაკი გელოვანი

დალაგებული აზრები

● **ყალბი** ადამიანი ყალბი ფულივითაა — ფასი არა აქვს.

● **თუ** ცა ქუდად არ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნად, — არც მათ მიაჩნიხარ არაფრად.

● **კაბა** დამოკლდა, ენა დაგრძელდა. კაბა დაგრძელდა, ენა მაინც არ დამოკლდა.

● **ქუდი** კაცის ნამუსი იყო... ახლა უქუდობა მოდად იქცა.

● **ვისაც** თავი მოაქვს, სწორედ ისინი გადიან უთაოებში.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლოქვაძე, (პ/მბ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. დუმბაძე, (მთავარი რედაქტორი). ნ. მალაზონია (მხატვრული რედ.), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. ⊙ სატრირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ტელ. რედაქტორის 99-76-69 რედ. მოადგილის 93-49-32 საერთო განყ. 93-10-78 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ ბეჭდავს ასაწყობად 22/XII-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/I-72 წ. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,4. საერთაშორისო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ⊙ შეკვ. № 4376. უე 01711, ტირაჟი 135000 ⊙ ТБИЛИСИ САТИРИКО-ЮМОРИСТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ «НИАНГИ» ● ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ. ● ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ. УЛ. ЛЕНИНА № 14.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გიზო ნიშნიანიძე

72-76
ეროვნული
ბიბლიოთეკა
1972